კიშინიოვი. 3 ივნისი. (ტელეგრაფით ჩვენი კორ.).

პირველი წრის ბოლო მატჩმა კიშინიოვის “ბურევესტნიკისა” და თბილისის “დინამოს” შორის უდიდესი ინტერესი გამოიწვია მაყურებელთა  შორის. მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გათამაშების ცხრილში პირველი 3 ადგილის განაწილებისათვის.

თამაშის დაწყებიდან უკვე მე–4 წუთზე ანგარიში გახსნა “ბურევესტნიკის” მარცხენა გარემარბმა ბულკინმა. ცოტა ხანში “დინამომ” მეორედ დაიწყო ცენტრიდან – ვაცკევიჩმა ბულკინის საჯარიმო მოწოდებიდან თავით გაიტანა გოლი – 2:0.

თბილისელებმა მხოლოდ ამის შემდეგ გააძლიერეს შეტევა. ერთ–ერთი იერიშის დროს კოტრიკაძემ კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგე გუნდის დაცვის შეცდომა და გაიტანა საპასუხო ბურთი – 1:2.

მეორე ტაიმი დინამოელთა ძლიერი შტურმით დაიწყო. კიშინიოველებმა შეინარჩუნეს ანგარიში 2:1 თავის სასარგებლოდ და მოიპოვეს მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა – 4:2.

**“ლელო”, 10 ივნისი, 1956 წ.**